



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მრჩობლელი

მრჩობლელი, 1. ქართული ლექსის სახეობა, რ-იც მოსაზღვრე რითმით შეწყობილი წყვილი ტაქტისაგან შედგება. მ-თვის არ არის განსაზღვრული არც სალექსო სტრიქონის საზომი და არც წყვილ ტაქტთა რაოდენობა. შემდეგ მ-ს უწოდებდნენ ნებისმიერ ორტაქტიან ლექსსაც. მ-ებს წერდნენ ს.-ს. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი („ჩემს ვარსკვლავს“), ი. ჭავჭავაძე („იანიჩარი“), ა. წერეთელი („აღმართ-აღმართ“) და სხვ.

2. ჰიმნოგრაფიული ტერმინი, ორტაქტედი სალექსო სტროფი. ქართ. ჰიმნოგრაფიული პოეზიისათვის დამახასიათებელია მრავალტაქტიანობა და ერთი სტროფის ფარგლებში სხვადასხვა ზომის ტაქტების შეწყობა. ეს არღვევს ერთფეროვან ჰარმონიასა თუ სიმეტრიას, სამაგიეროდ, დიდ დინამიკურობას ანიჭებს ლექსს. ამასთან ერთად, ქართ. ჰიმნოგრაფიული პოეზიისათვის მთლად უცხო არ არის ერთხმიანობა. რთული მრავალტაქტიანი სტროფული ფორმის გვერდით გვხვდება ორტაქტედი (მრჩობლელი) და სამტაქტიანი სალექსო სტროფები.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., თხზულებათა კრებული, ტ. 3, თბ., 1965; მ ი ქ ა ძ ე გ., ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974; ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, წგ. I, თბ., 1984; ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე ა., ქართული ლექსის ისტორია და თეორია, თბ., 2009.

გ. მიქაძე
